

არბიტრაჟის კომპეტენცია და მისი საქმიანობის კონტროლის მექანიზმები
საქართველოსა და საერთაშორისო პრაქტიკაში.

მაია ყვითელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სამართლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ანდლულაძე(თსუ-ს დოქტორანტი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლების ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების, სამართლებრივი ბუნება და მისი თავისებურებანი, ასევე ყურადღება გამახვილებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორც არის არბიტრაჟის კომპეტენცია და მისი სწორი გააზრება. აქცენტი გაკეთებულია არბიტრაჟის საქმიანობის კონტროლის მექანიზმებზე, ძირითადად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მაგალითზე, რომლებიც სასამართლოს მიერ ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან მისთვის მინიჭებული რიგი უფლებამოსილებების მეშვეობით. შერეული კვლევის მეთოდის ფარგლებში, გარდა არსებული საკითხის თეორიული ანალიზისა, ჩატარებულია სოციოლოგიური კვლევა და ჩაწერილია ინტერვიუები, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით ნათელს მოჰფენს არბიტრაჟის აქტუალურ პრობლემებს და რომელთა შედეგების გათვალისწინებით გამოიკვეთება მათი აღმოფხვრის გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არბიტრაჟი, არბიტრაჟის სახეები, არბიტრაჟის კომპეტენცია, კონტროლის მექანიზმები, ცნობა, აღსრულება.

abstract

The aforesaid work discusses the legal nature and attributes of arbitration, an alternative form of dispute resolution; it also focuses on the most important issue, that being competency of arbitration and understanding it correctly. The mechanisms that govern the arbitration process are stressed, mainly the examples of recognizing and executing arbitration decisions that are carried out by the court based on the authority granted by the state. In the framework of a diverse research process, apart from the already existing theoretical analyses of the issue, social research was carried out and interviews recorded, that will in a very specific way, shed light on the actual problematic issues of arbitration; thereby taking those results into consideration, the appropriate measures needed to rectify them can be put in place. Key search words: arbitrage, forms of arbitration, competency of arbitration, control mechanisms, recognition, execution.